



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

**ხაშურის წყალმომარაგებისა და
წყალარინების პროექტი**

კონსულტანტების შერჩევა

**ინტერესის გამოსატვის
მოთხოვნა**

**შპს „საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია“**

2021 წ. თებერვალი

საქართველო

ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი

ხაშურში წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება

ინტერესის გამოსატვის მოთხოვნა (REOI)

საძიებო ნომერი. UWSCG-IPC-QCBS-CS

თარიღი: 2021 წლის 26 თებერვალი

მპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც დამკვეთი) Agence Française de Développement-გან (საფრანგეთის განვითარების სააგენტო) („AFD“) მიიღო სესხი, ხოლო ევროკავშირისაგან („EU“) - გრანტი და გეგმავს, რომ ხსენებული ფულადი სახსრებიდან დააფინანსოს შემდეგი პროექტი: **ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი - წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია, გაფართოება და ნაწილობრივი ოპერირება;** და

გასაწევი საკონსულტაციო მომსახურებების მოცულობა იქნება **ხაშურში (საქართველო) შემდეგი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული შემდეგი აქტივობების ზედამხედველობა:**

- ლოტი 1: წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განახლება და რეკონსტრუქცია (სამუშაოების შესყიდვა მოხდება FIDIC MDB ჰარმონიზებული ვერსიის მიხედვით). სამუშაოები მოიცავს შემდეგს:
 - წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელის რეკონსტრუქცია და გაფართოება სახლის დაერთებებისა და მასთან დაკავშირებული ნაგებობების/მოწყობილობების, ანუ DMA კამერების, ურდულების და სხვა აქსესუარების, ჩათვლით;
 - (ა) არსებული კანალიზაციის მილების შემოწმება, (ბ) ახალი და არსებული კანალიზაციის მილების გაერთიანებით კომპლექსური პროექტის მომზადება (პროექტი მზადდება კონტრაქტორის მიერ) და (გ) შერჩეული სექციების მშენებლობა;
 - წყლის კალაპოტების, რკინიგზის, მთავარი გზების გადაკვეთები.
- ლოტი 2: სასმელი წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია და განახლება სამი მაგისტრალური მილისა და სამი დაკავშირებული რეზერვუარის ჩათვლით; ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, სადაც განთავსებული იქნება არა მხოლოდ ლაბორატორია, სადისპეჩერო ოთახი (ცენტრალური SCADA) და საწყობი. (სამუშაოები - FIDIC-ის ყვითელი წიგნი);
- ლოტი 3: წყალარინების ახალი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა ბაიპასის კოლექტორითა და მოკლევადიანი ოპერირების პერიოდით პროექტირება-მშენებლობა-ოპერირების ტიპის - DBO - კონტრაქტის ფარგლებში. სამუშაოების მოცულობაში შედის არსებული და გაუქმებული წყალარინების გამწმენდი ნაგებობების დემონტაჟი და ახალი ნაგებობების მშენებლობა. ოპერირების პერიოდი იქნება ერთი წელი, რომლის გახანგრძლივება სამ წლამდე იქნება შესაძლებელი.

ზემოხსენებული სამი სამშენებლო პაკეტისათვის გათვალისწინებული ინვესტიციების საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 62 მილიონ ევროს. მშენებლობის ზედამხედველობის მომსახურებების კონტრაქტი საორიენტაციო მოცულობა იქნება 3 მილიონი ევრო.

კონსულტანტი პირველი და მეორე ლოტებისათვის იმოქმედებს, როგორც ინჟინერი, FIDIC-ის კონტრაქტის პირობების თანახმად, ხოლო მესამე ლოტისათვის კონსულტანტი იმოქმედებს, როგორც დამკვეთის წარმომადგენელი და პასუხისმგებელი იქნება შემდეგ საქმიანობაზე:

- წყალმომარაგებისა და კანალიზაციის შემკრები სისტემების შემოსენებული სამშენებლო და/ან რეკონსტრუქციის პაკეტების დეტალური პროექტის გადახედვა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობისა და ხაშურის ორი სათავე ნაგებობის ოპერირების საწყის ეტაპზე შედამხედველობა;
- დამკვეთის სახელით შემოსენებული ოთხივე შემოსენებული საკონტრაქტო პაკეტის ყველა სამშენებლო სამუშაოს შედამხედველობა და მართვა, რათა დაეხმაროს დამკვეთს თავისი საკონტრაქტო ინტერესების მიდწევაში; სამუშაოებში, ასევე, შედის, ყველა საჭირო ტესტირება, საინჟინრო ნაგებობების ექსპლუატაციაში ჩაშვების პროცესის დროს დასწრება და დამკვეთისათვის გადაცემა და დეფექტების ცნობის პერიოდის მონიტორინგი;
- დამკვეთისა და პროექტის განამხორციელებელი სამსახურის (PIU) ინჟინრებისათვის პრაქტიკული ტრენინგის ჩატარება; და
- ერთ-ერთ ვარიანტად განიხილება წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მოკლევადიანი ოპერირების პერიოდის შედამხედველობა (ერთი წელი, მაგრამ ორი წლის დამატების შესაძლებლობით).

შემოდინებული კონტრაქტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურებების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს საერთაშორისო და ადგილობრივი კონსულტანტებისა და შედგენილი გუნდით, რომელთაც აქვთ მდიდარი გამოცდილება წყლისა და კანალიზაციის სისტემების სამშენებლო სამუშაოების შედამხედველობის პროცესში FIDIC-ის კონტრაქტის პირობების მიხედვით, მათ შორის, (ა) წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და მოკლევადიანი ოპერირების პერიოდის, (ბ) წყლის სათავე ნაგებობების რეკონსტრუქციის, გაფართოების, ათვისებისა და მოკლევადიანი ოპერირების პერიოდის, მათ შორის, ახალი ჭაბურღილების, მარეგულირებელი რეზერვუარების, სატუმბო სადგურისა და საქლორატოროს მშენებლობისა; და (გ) წყლის მაგისტრალური მილებისა და წყლისა და კანალიზაციის ქსელის რეკონსტრუქციის შედამხედველობა.

საკონსულტაციო გუნდს გაუძღვება გუნდის ლიდერი / მთავარი რეზიდენტი ინჟინერი და მის დაქვემდებარებაში იქნება ექსპერტები და სპეციალისტები, როგორცაა რეზიდენტი ინჟინრები, ინჟინერ მექანიკოსები და ელექტრიკოსები, წყალარინებისა და სასმელი წყლის გამწმენდის ინჟინერ-ტექნოლოგები, ბუნებრივი და სოციალური გარემოს უსაფრთხოების სპეციალისტები, ხარჯთაღმრიცხველები, ა.შ.

აუცილებელი წინაპირობაა, კონსულტანტის გუნდმა კარგად იცოდეს FIDIC MDB ჰარმონიზებული ვერსიის კონტრაქტის პირობები და პროექტირება-მშენებლობა-ოპერირების (DBO) კონტრაქტის პირობები.

დაინტერესებულმა საკონსულტაციო კომპანიებმა ან ერთობლივმა საწარმოებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რაც ადასტურებს მათ კვალიფიკაციასა და გამოცდილებას აღნიშნული მომსახურებების შესრულებისათვის. ამ მიზნით წარმოდგენილი უნდა იყოს ბოლო პერიოდში განხორციელებული ან მსგავსი მომსახურებების დამადასტურებელი დოკუმენტი. შეფასების პროცესის გამარტივების მიზნით, მოთხოვნილია, რომ აპლიკაციის დოკუმენტები არ აღემატებოდეს 70 გვერდს. კონსულტანტის ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შემოთაა მოცემული. დეტალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოცემულია შემდეგ ეტაპზე (წინადადებების წარმოდგენის მოთხოვნა).

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ წინამდებარე დოკუმენტით იწვევს აპლიკანტებს, რათა გამოხატონ მათი ინტერესი შემოსენებული მომსახურებების გაწევაში.

ინტერესის გამომხატვის მოთხოვნაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს:

- | | |
|---|--|
| <input checked="" type="checkbox"/> საკონსულტაციო ფირმები | <input type="checkbox"/> ინდივიდუალური კონსულტანტები |
| <input type="checkbox"/> არასამთავრობო ორგანიზაციები | <input type="checkbox"/> არასამთავრობო ორგანიზაცი(ებ)ისა და საკონსულტაციო ფირმ(ებ)ის ერთობრივი საწარმო |

AFD-ს საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მოცემულია „უცხო ქვეყნებში AFD-ს მიერ დაფინანსებული კონტრაქტების შესყიდვების სახელმძღვანელო ინსტრუქციების“ 1.3 ქვე-მუხლში, რომელიც შეგიძლიათ, იხილოთ შემდეგ ვებსაიტზე: <http://www.afd.fr>.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი აპლიკაცია ან თავისი სახელით, ან ერობლივი საწარმოს წევრის სახით. თუ პრეტენდენტი (მათ შორის, ერობლივი საწარმოს წევრი) წარმოადგენს ან მონაწილეობას იღებს ერთ ან მეტ აპლიკაციას, ასეთი აპლიკაციები უარყოფილი იქნება. ქვე-კონსულტანტს შეუძლია რამდენიმე აპლიკაციაში მიიღოს მონაწილეობა.

თუ პრეტენდენტი არის ერთობლივი საწარმო, ინტერესის გამომხატვაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი:

- ყველა წევრის მიერ გაფორმებული ერთობლივი საწარმოს შესახებ შეთანხმების ასლი

ან

- ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი გაზრახვის წერილი ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ ერთობლივი საწარმოს შესახებ შეთანხმების წინადადებასთან ერთად.

თუ ასეთი დოკუმენტი არ იქნება წარმოდგენილი, სხვა წევრები განიხილება, როგორც ქვე-კონსულტანტები.

აპლიკაციების შეფასების დროს ქვე-კონსულტანტების გამოცდილება და კვალიფიკაცია არ იქნება გათვალისწინებული.

დაინტერესებულმა პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მათ კვალიფიკაციასა და გამოცდილება აღნიშნული მომსახურებების შესრულებისათვის. ამ მიზნისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ბოლო პერიოდში განხორციელებული ამ მსგავსი მომსახურებების დამადასტურებელი დოკუმენტები.

გამოცდილების მსგავსება განისაზღვრება შემდეგით:

- კონტრაქტების მოცულობა;
- მშენებლობის ზედამხედველობის მომსახურებების ბუნება;

ზედამხედველობის გამოცდილება გულისხმობს შემდეგ ტექნიკურ სფეროებსა და კომპეტენციას:

(i) წყალარინების გამწმენდი ნაგებობის დემონტაჟი, მშენებლობა და ოპერირება;

(ii) სათავე ნაგებობების რეკონსტრუქცია, მათ შორის, ახალი ჭაბურღილების, გამათანაბრებელი რეზერვუარების, სატუმბო სადგურებისა და გაუსნებოვნების სადგურების მშენებლობა; და

(iii) წყლის ახალი მაგისტრალის, წყლის გამანაწილებელი მილების მშენებლობა და კანალიზაციის ქსელის შემოწმება, რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და გაფართოება.

- ადგილი: საქართველო და/ან დსთ-ს ქვეყნები.

აპლიკაციების შეფასების დროს დამკვეთი გაითვალისწინებს შემდეგს:

- საველე ექსპერტების დასახმარებლად შიდა ტექნიკური ექსპერტების რესურსების უნარ-ჩვევები და ხელმისაწვდომობა;
- ადგილობრივი წარმომადგენლები / პარტნიორები;
- ISO 9001 სერტიფიკატი.

წარმოდგენილი აპლიკაციებიდან დამკვეთი არიჩევს მაქსიმუმ **ექვს (6) პრეტენდენტს**, რომელთაც გაეგზავნებათ მომსახურებების განხორციელების შესახებ წინადადების წარმოდგენის მოთხოვნა.

ინტერესის გამომხატვის წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე **2021 წლის 31 მარტის 15:00 საათამდე (ადგილობრივი დროით)**

მპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

საკონტაქტო პირი: *ირინა ჩიხლაძე, პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი; ნინო აბულაძე, საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.*

მისამართი: *შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სათავო ოფისი, მე-4 სართული (კანცელარია), ვაჟა-ფშაველას გამზირი 76ბ, თბილისი, საქართველოს (0186)*

ტელეფონი: **+995 032 2 91 90 60**

ელექტრონული ფოსტა: N.Abuladze@water.gov.ge; i.chikhladze@water.gov.ge

დაინტერესებულ აპლიკანტებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიღება შემდეგ მისამართზე სამუშაო საათებში:

10:00 საათიდან 18:00 საათამდე (ადგილობრივი დროით)¹

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

საკონტაქტო პირი: *ირინა ჩიხლაძე, პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი; ნინო აბულაძე, საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.*

მისამართი: *შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სათავო ოფისი, მე-4 სართული (კანცელარია), ვაჟა-ფშაველას გამზირი 76ბ, თბილისი, საქართველოს (0186)*

ტელეფონი: **+995 032 2 91 90 60**

ელექტრონული ფოსტა: N.Abuladze@water.gov.ge; i.chikhladze@water.gov.ge

¹ მაგალითად, 10-დან 5 საათამდე

**ინტერესის გამოსატვის მოთხოვნის დანართი
(წარმოდგენილი უნდა იყოს აპლიკაციასთან ერთად, ხელმოწერილი და
შეუცვლელი)**

**კეთილსინდისიერების, უფლებამოსილების, ბუნებრივი და სოციალური გარემოს
დაცვის პასუხისმგებლობის განაცხადი**

სატენდერო წინადადების ან შემოთავაზების დასახელება _____ („კონტრაქტი“)

ადრესატი: _____ („სახელმწიფო დამკვეთი“)

1. ჩვენ ვაცნობიერებთ და ვღებულობთ იმ ფაქტს, რომ *საფრანგეთის განვითარების სააგენტო („AFD“)* აფინანსებს სახელმწიფო დამკვეთის პროექტებს, რომლებიც წარმოდგენს სააგენტოს პირობების საგანს, რომლებიც გაწერილია საფინანსო ხელშეკრულებაში და მისგან სარგებელს ირიბად თუ პირდაპირ იღებს სახელმწიფო დამკვეთი. შედეგად, არ ყალიბდება იურიდიული ურთიერთობა სააფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და ჩვენს კომპანიას, ჩვენს ერთობლივ საწარმოს, ჩვენს მომწოდებლებს, კონტრაქტორებს, ქვე-კონტრაქტორებს, კონსულტანტებსა თუ ქვე-კონსულტანტებს შორის. სახელმწიფო დამკვეთი იტოვებს ექსპლუზიურ პასუხისმგებლობა შესყიდვის პროცესის მომზადებასა და განხორციელებაზე, ასევე, კონტრაქტის შესრულებაზე. სახელმწიფო დამკვეთი ნიშნავს შემსყიდველს, დამკვეთს, კლიენტს, კონტექსტიდან გამომდინარე, რომელიც აწარმოებს საქონლის, სამუშაოების, ნაგებობების, საკონსულტაციო თუ არასაკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვას.
2. ჩვენ წინამდებარე დოკუმენტით ვადასტურებთ, რომ არც ჩვენ, არც ჩვენი ერთობლივი საწარმოს წევრი, არც ჩვენი მომწოდებლები, კონტრაქტორების, ქვე-კონტრაქტორების, კონსულტანტები თუ ქვე-კონსულტანტები არ წარმოდგენენ შემდეგს:
 - 2.1 ბაკროტები, ლიკვიდირებულები ან შეჩერებულია საქმიანობა, ან სასამართლო მართავს საქმიანობას, სამართავად გადაცემულია მესამე პირისათვის, მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან იმყოფება ანალოგიურ მდგომარეობაში მსგავსი პროცედურის შედეგად;
 - 2.2 არიან:
 - ა) ბრალად ედებათ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელსაც კონტრაქტის დადების ქვეყანაში აქვს *res judicata* სტატუსი, თაღლითობა, კორუფცია, ან სხვა ბრალეულობა, რაც ჩადენილია კონტრაქტის შესყიდვის ან შესრულების დროს (თუ არსებობს ასეთი ბრალეულობა, შეგიძლიათ კეთილსინდისიერების განცხადებას მიაბათ დამამტკიცებელი საბუთი მასზედ, რომ ასეთი ბრალეულობა კონტრაქტის კონტექსტისათვის რელევანტური არ არის);
 - ბ) ევროკავშირის ან დაარსების ქვეყნის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების ადმინისტრაციული საქციის სუბიექტები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თაღლითობისათვის, კორუფციისა თუ კონტრაქტის შესყიდვისა და შესრულების დროს ჩადენილი სხვა დანაშაულისათვის (ასეთი საქციის არსებობის შემთხვევაში, შეგიძლიათ კეთილსინდისიერების განცხადებას მიაბათ დამამტკიცებელი საბუთი მასზედ, რომ ასეთი სანქცია კონტრაქტის კონტექსტისათვის რელევანტური არ არის);
 - გ) ბრალად ედებათ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელსაც აქვს *res judicata* სტატუსი, თაღლითობა, კორუფცია თუ სხვა დანაშაული, რაც ჩადენილია AFD-ს მიერ დაფინანსებული კონტრაქტის შესყიდვისა თუ განხორციელების დროს.

- 2.3 ევროკავშირის, გაეროს და/ან საფრანგეთის მიერ აღნუსხულია ფინანსური საქმიანობების სიაში ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაფინანსებისათვის ან საერთაშორისო მშვიდობისა თუ უსაფრთხოების დამუქებისათვის;
 - 2.4 ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მოხდა კონტრაქტის გაწყვეტა ჩვენი მიზნით, კერძოდ კონტრაქტის მოქმედების პერიოდში ჩვენი საკონტრაქტო ვალდებულებების მნიშვნელოვნად ვერ შესრულების ან მუდმივი დარღვევის გამო, თუ კონტრაქტის გაწყვეტის პროცესი გასაჩივრდა და დავის შესახებ გადაწყვეტილება არ არის მიღებული ან ჯერ არ დადასტურებული ჩვენი საბოლოო წაგება;
 - 2.5 არ შეგვისრულებია ჩვენი ფისკალური ვალდებულებები გადასახადების გადახდის კუთხით ჩვენი დაფუძნების ქვეყნის ან სახელმწიფო დამკვეთის ქვეყნის კანონების შესაბამისად;
 - 2.6 გარიცხვები ვართ მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებით და ვართ მსოფლიო ბანკის შემდეგ სიაში: <http://www.worldbank.org/debarr> (გარიცხვის არსებობის შემთხვევაში, შეგიძლიათ კეთილსინდისიერების განცხადებას დაურთოთ დამადასტურებელი ინფორმაცია, რომ ასეთი გარიცხვა არ არის რელევანტური კონტრაქტის კონტექსტისათვის);
 - 2.7 კონტრაქტის შესყიდვის ფრგლებში სახელმწიფო დამკვეთის მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაჩიში არის გაყალბება ან ფაქტის დამახინჯება.
3. ჩვენ წინამდებარე დოკუმენტით ვადასტურებთ, რომ არც ჩვენ, არც ჩვენი ერთობლივი საწარმოს წევრი, არც ჩვენი მომწოდებლები, კონტრაქტორების, ქვე-კონტრაქტორების, კონსულტანტები თუ ქვე-კონსულტანტები არ წარმოადგენენ ინტერესთა კონფლიქტის საგანს:
 - 3.1 არ ვართ სახელმწიფო დამკვეთის ან სახელმწიფო დამკვეთის წილის მფლობელის დაქვემდებარებაში მყოფი ფილიალი, თუ სხვაგვარად ინტერესთა კონფლიქტის შესახებ იცის AFD-მ და ის გადაწყვეტილია AFD-სათვის დამაკმაყოფილებელ დონეზე;
 - 3.2 არ გვაქვს საქმიანი თუ ნათესაური კავშირის სახელმწიფო დამკვეთის პერსონალთან, რომლებიც ჩართულნი არიან კონტრაქტის შესყიდვისა თუ შედამხედველობის პროცესში, თუ სხვაგვარად ინტერესთა კონფლიქტის შესახებ იცის AFD-მ და კონფლიქტი გადაწყვეტილია AFD-სათვის დამაკმაყოფილებელ დონეზე;
 - 3.3 არ ვაკონტროლებთ და არც ვართ სხვა პრეტენდენტის ან კონსულტანტის ქვეშ ან არ გვაკონტროლებს ჩვენ და სხვა პრეტენდენტს ან კონსულტანტს ერთი პრეტენდენტი ან კონსულტანტი, არ ვიღებთ ან ვაძლევთ სუბსიდიებს პირდაპირ თუ ირიბად სხვა პრეტენდენტს ან კონსულტანტს, არ გვყავს ერთი და იგივე იურიდიული წარმომადგენელი, როგორც სხვა კონსულტანტს თუ პრეტენდენტს, არ გვაქვს პირდაპირი თუ ირიბი კონტაქტი სხვა პრეტენდენტთან თუ კონსულტანტთან, რაც გვაძლევს ჩვენ საშუალებას, გვეკონდეს ან მივცემთ წვდომა ისეთ ინფორმაციაზე, რაც მოცემულია მათ აპლიკაციებში, სატენდერო წინადადებასა თუ შემოთავაზებებში, რაც მოგვცემდა სახელმწიფო დამკვეთის გადაწყვეტილების მანიპულირებას ან სხვა პრეტენდენტებისა თუ კონსულტანტების მანიპულირების საშუალებას;
 - 3.4 ვახორციელებთ ისეთ საკონსულტაციო მომსახურებებს, რაც თავისი ბუნებით, ეწინააღმდეგება სახელმწიფო დამკვეთისათვის შესასრულებელ დავალებებს;
 - 3.5 საქონლის, სამუშაოებისა თუ ნაგებობების შესყიდვის შემთხვევაში:
 - a) არ მოგვიმზადებია ან არ გვქონია კავშირი ისეთ კონსულტანტთან, რომელმაც მოამზადა ამ კონტრაქტის შესყიდვისათვის სპეციფიკაციები, ნახაზები, გამოთვლები და სხვა დოკუმენტაცია;
 - b) არ დავუქირავებია ვართ (ან არ გვთავაზობენ თანამშრომლობას) არც ჩვენ და არც ერთი ჩვენი ფილიალი, რომ შედამხედველობა გაუწიოთ ან ინსპექტირება ჩაუტაროთ აღნიშნულ კონტრაქტს
 4. თუ ჩვენ ვართ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული პირი და მონაწილეობას ვიღებთ შესყიდვის პროცესში, ჩვენ ვადასტურებთ, რომ ჩვენ გვაქვს იურიდიული და ფინანსური

- დამოუკიდებლობა და შეგვიძლია ვიმუშაოთ სავაჭრო კანონებისა და რეგულაციების ფარგლებში.
5. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ სახელმწიფო დამკვეთს შევატყობინებთ, ხოლო სახელმწიფო დამკვეთი თავის მხრივ აცნობებს AFD-ს ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რაც ეხება 2-დან 4-მდე პუნქტებს.
 6. კონტრაქტის შესყიდვისა და შესრულების კონტექსტში:
 - 6.1 არ ვახორციელებთ და არ განვახორციელებთ უსინდისო ქმედებას (ან უმოქმედობას), რაც განზრახ მიმართულია სხვების მოტყუებისაკენ, განზრახ ფაქტების დამალვაზე, სხვისი თანხმობის დარღვევასა თუ გაბათილებისაკენ, იურიდიული თუ მარეგულირებელი მოთხოვნებისათვის თავის არიდებისაკენ და/ან შიდა წესების დაღვევისაკენ უკანონო სარგებლის მიღების მიზნით;
 - 6.2 არ ვახორციელებთ და არ განვახორციელებთ უსინდისო ქმედებას (ან უმოქმედობას), რაც ეწინააღმდეგება ჩვენს კანონიერ თუ მარეგულირებელ ვალდებულებებს ან შიდა წესებს უკანონო სარგებლის მიღების მიზნით;
 - 6.3 ჩვენ შემდეგი პირებისათვის არ მიგვიცია პირობა, არ შეგვითავაზებია ან არ მიგვიცა და არც შევპირდებით, შევთავაზებთ და გადავცემთ რაიმე სახის არაჯეროვანი სარგებელი, რათა იქმოქმედონ ან თავი შეიკაონ ქმედებისაგან: (ა) პირი, რომელსაც უკავია საკანონმდებლო, აღმასრულებელი, ადმინისტრაციული თანამდებობა ან აქვს სასამართლო მანდატი სახელმწიფო დამკვეთის ქვეყანაში, მიუხედავ იმისა, ასეთი პირის თანამდებობაზე არჩევისა თუ დანიშვნისა, იქნება ასეთი თანამდებობა დროებითი თუ მუდმივი, ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი, ან პირის მიერ დაკავებული თანამდებობრივი იერარქიისა; (ბ) პირი, რომელიც ეწევა საჯარო სამსახურს, მათ შორის, სახელმწიფო დაწესებულებისათვის თუ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიისათვის, ან ეწევა საჯარო საქმიანობას; ან (გ) ნებისმიერი პირი, რომელიც განისაზღვრება საჯარო მოხელედ სახელმწიფო დამკვეთის ქვეყნის სახელმწიფო კანონით;
 - 6.4 არ მიგვიცია პირობა, არ შეგვითავაზებია და არ მიგვიწოდებია და არც დავდებთ პირობას, შევთავაზებთ და არც მივაწოდებთ პირდაპირ თუ ირიბან რომელიმე პირს, რომელიც იკავებს აღმასრულებელ თანამდებობას კერძო სექტორში ან მუშაობს კერძო პირისათვის, მისი თანამდებობის მიუხედავად, არაჯეროვან სარგებელს, რათა ასეთმა პირმა შეასრულოს ან თავი შეიკაოს თავისი ვალდებულებების შესრულებისაგან, რაც გამოიწვევდა მისი იურიდიული, საკონტრაქტო თუ პროფესიული ვალდებულებების დარღვევას;
 - 6.5 ჩვენ არ ვასრულებთ და არ შევასრულებთ ისეთ პრაქტიკას, რაც ზემოქმედებას იქონიებს კონტრაქტის დადების პროცესზე სახელმწიფო დამკვეთის საზიანოდ, კერძოდ, არ ჩავერთვებით ანტიკორუფციულ პრაქტიკაში, რომლის მიზანიც და საბოლოო შედეგია კონკურენციის აღკვეთა, შეზღუდვა ან ხელშეშლა, კერძოდ კონკურენციისათვის ხელშეშლა ბაზარზე წვდომის შეზღუდვით;
 - 6.6 არც ჩვენ და არც ჩვენი ერთობლივი საწარმოს არც ერთი წევრი, არც ჩვენი მომწოდებლები, კონტრაქტორები, ქვე-კონტრაქტორები, კონსულტანტები ან ქვე-კონსულტანტები არ შეიძენენ და მოაწოდებენ აღჭურვილობას და არ იმუშავებენ ისეთ სექტორში, რომელიც ხვდება გაეროს, ევროკავშირის ან საფრანგეთის ემბარგოს ფარგლებში;
 - 6.7 ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ დავიცავთ და უზრუნველყოფთ, რომ ჩვენმა მომწოდებლებმა, კონტრაქტორებმა, ქვე-კონტრაქტორებმა, კონსულტანტებმა ან ქვე-კონსულტანტებმა დაიცვამ გარემოს დაცვისა და საერთაშორისო სტანდარტები, შრომის სტანდარტები, რომლებიც შეესაბამება კონტრაქტის განხორციელების ქვეყნის კანონებსა და რეგულაციებს, მათ შორის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტურ კონვენციებს და გარემოს დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებებს. უფრო მეტიც, ჩვენ განვახორციელებთ ბუნებრივი და სოციალური გარემოს სოციალური რისკების შემამსბუქებელ ღონისზიენებს, რომლებიც დაკონკრეტებულია სახელმწიფო დამკვეთის ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვის გეგმაში.

7. ჩვენ, ასევე, ჩვენი ერთობლივი საწარმოს წევრები, ჩვენი მომწოდებლები, კონტრაქტორები, ქვე-კონტრაქტორები, კონსულტანტები და ქვე-კონსულტანტები უფლებას აძლევენ AFD-ს, რომ ჩაატაროს კონტრაქტის შესყიდვისა და მსვლელობის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების, ჩანაწერებისა და საბუღალტრო აღრიცხვის წიგნების ინსპექტირებისა და აუდიტის უფლებას AFD-ს მიერ დანიშნული აუდიტორების მიერ.

სახელი: _____ თანამდებობა: _____

უფლებამოსილია ხელი მოაწეროს სახელით¹: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

¹ ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, ჩაწერეთ ერთობლივი საწარმოს სახელი. პირმა, რომელიც ხელს აწერს აპლიკაციას, სატენდერო წინადადებას ან შემოთავაზებას აპლიკანტის, პრეტენდენტის ან კონსულტანტის სახელით, უნდა დაურთოს მინდობილობა.